ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №7840184

ნომერი: AR11132205

თარიღი : 05.03.2026

გაცემის თარიღი : 20.03.2026

გაცნობის თარიღი : 20.03.2026

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ბრილების ქუჩა, N 8;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან მამისაშვილი პ/ნ 01021001076
- ქ. თბილისი, ავშნის ქ. #126

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- II კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- საინჟინრო ნაგებობები და კომუნალური ობიექტები
  - ნავთობისა და ნავთობ პროდუქტების თხევადი აირის საცავები - ტერმინალები

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15

მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

# გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ატვირთული დოკუმენტაცია, და გაცნობებთ შემდეგს:
იმისათვის რომ სამსახურმა შეძლოს თქვენ მიერ დაგეგმილ სამუშაოებთან დაკავშირებით მსჯელობა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება საჭიროა განიმარტოს რას მოემსახურება აღნიშნული დიზელის ავზი( განიმარტოს მისი საჭიროება)
გაცნობებთ, რომ თქვენი საკითხი განსახილველად გადაგზავნილ იქნა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში (წერილის ნომ.: 60-01260791267), ვინაიდან ამ დროისთვის საკითხი შესწავლის პროცესშია, შესაბამისად პასუხი გეცნობებათ დამატებით, ხოლო აღნიშნული დოკუმენტი გადმოგეგზავნებათ დანართის სახითასევე გადაგზავნილია სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოში განსახილველად (2025 წლის 21 ნოემბრის N1/650 წერილის თანახმად)ვინაიდან ამ დროისთვის საკითხი შესწავლის პროცესშია(60-01260791413 ), შესაბამისად პასუხი გეცნობებათ დამატებით, ხოლო აღნიშნული დოკუმენტი გადმოგეგზავნებათ დანართის სახით.
არებობის შემთხვევაში მიწის ნაკვეთის (საპროექტო ტერიტორიის) ტოპოგრაფიული გეგმა, მასშტაბი 1:500 -> ....ტოპოგრაფიული გეგმის pdf ფაილი : წარმოსადგენია ხელმოწერილი დასკანირებული ვერსია ;
წარმოსადგენია საინფორმაციო დაფა – ბანერის ამსახველი ფოტოსურათები შორი და ახლო ხედებიდან.
საინფორმაციო დაფა უნდა დამაგრდეს საზოგადოებრივი სივრცეებიდან აღქმად, თვალსაჩინო ადგილზე და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების მე-19-ე მუხლის, მე-2 ქვეპუნქტის შესაბამისად აუცილებლად უნდა მოიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:

- ა) მშენებლობის ნებართვის მაძიებლის საკონტაქტო ინფორმაციას;
- ბ) მიწის ნაკვეთის მისამართს;
- გ) მშენებლობის სახეობას და შენობა-ნაგებობის ფუნქციურ დანიშნულებას;
- დ) მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს დასახელებას/მისამართს და განაცხადის განხილვის ვადებს;
- ე) შენობა-ნაგებობის სავარაუდო სართულიანობას ან/და გაბარიტებს.

საინფორმაციო დაფაზე უნდა განთავსდეს მხოლოდ ზემოაღნიშნული მუხლით განსაზღვრული ინფორმაცია და დაუშვებელია მისი სარეკლამო მიზნებისათვის გამოყენება.
საპროექტო არეალთან ფიქსირდება ს/კ N 01.01.834 ხაზობრივი ნაგებობა მილსადენი მიწისქვეშა წყალმომარაგების ქსელი , რომლის მესაკუთრეა შპს“ჯორჯიან უოტერ ენდ ფაუერი“შესაბამისად წარმოსადგენია მესაკუთრის თანხმობა განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით , ხოლო პროექტის შეთანხმების სტადიაზე წარმოსადგენი გექნებათ მესაკუთრეთა მიერ შესაბამისი წესით დამოწმებული გენ-გეგმის ნახაზიც;
ასევე ფიქსირდება ბუნებრივი აირით მომარაგების ქსელიც შესაბამისად წარმოსადგენი გექნებათ , მესაკუთრის თბილისი ენერჯის თანხმობა განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით.პროექტის შეთანხმების სტადიაზე წარმოსადგენი გექნებათ მესაკუთრეთა მიერ შესაბამისი წესით დამოწმებული გენ-გეგმის ნახაზიც;

ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში განახლებული დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი. იმ შემთხვევაში, თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება სამსახური უფლებამოსილია აღნიშნული განაცხადი დატოვოს განუხილველი.
აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.